

სასკოლო დემოკრატიის სტანდარტები



პრეამბულა

ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვანია სასკოლო სისტემის დემოკრატიზაცია. დემოკრატიული სკოლა ზრდის ღირსეულ მოქალაქეებსა და ხელს უწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

დოკუმენტის შექმნის მიზანია დაეხმაროს სკოლებს, საზოგადოებას, გადაწყვეტილებების მიმღებებს შეთანხმდნენ:

- როგორია დემოკრატიული სკოლა;
- სკოლებში დემოკრატიული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი მეთოდების დანერგვის გზებზე.

სასკოლო დემოკრატიის სტანდარტები სამი მიმართულებისგან შედგება. ეს მიმართულებებია: მართვა, სწავლა - სწავლება და გარემო.



19 ნოემბერი, 2016
თბილისი

1.მართვა

დემოკრატიული სკოლის მართვის პრინციპებია მონაწილეობა, გაზიარებული პასუხისმგებლობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და სამართლიანობა.

მართვის სფეროებია:

- ადამიანური და მატერიალური რესურსები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- სკოლის ფინანსური მართვა.

1.1 ადამიანური და მატერიალური რესურსები

1.1.1. სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და პედაგოგიური საბჭო არჩეულია და მუშაობს დემოკრატიული სკოლის მართვის პრინციპით;

1.1.2. სამეურვეო საბჭო მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტისა და საქმიანობების დაგეგმვასა და დამტკიცებაში;

1.1.3. სკოლას მართავს არჩეული დირექტორი;

1.1.4. სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით და განხილულია სასკოლო საზოგადოებასთან;

1.1.5. სკოლა სისტემურად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე

1.2 საზოგადოებასთან ურთიერთობა

1.2.1. სიახლეები, წლიური თხრობით და ფინანსურ ანგარიშები მშობლებსა და სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება რეგულარულად ვებ-გვერდის, ბლოგის და/ან სოციალური ქსელის მეშვეობით;

1.2.2. სკოლას აქვს ღიაობასა და გამჭვირვალობაზე დაფუძნებული კომუნიკაციის სტრატეგია

1.2.3. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს-ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, სათემო ოჯახები, სამთავრობო ორგანიზაციები, სერვის-პროვაიდერები და სხვ.) ერთად, სკოლა ახორციელებს ერთობლივ პროექტებს სკოლასა და თემში სასწავლო მიზნების მისაღწევად.

1.3 სკოლის ფინანსური მართვა

1.3.1. სკოლის ბიუჯეტის პროექტი შედგენილია მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლასა და თემში არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების გათვალისწინებით;

1.3.2. ბიუჯეტის პროექტი საჯაროა

- 1.3.3. ბიუჯეტში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თვითმმართველობებისა და კლუბების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება და/ან თანადაფინანსება;
- 1.3.4. ბიუჯეტში გათვალისწინებულია დასაქმებულთა პროფესიული განვითარებისა და წახალისების კომპონენტი;
- 1.3.5. სასკოლო პროექტების დაფინანსებისას წახალისებულია მშობლების, თემისა და სხვა ორგანიზაციების თანამონაწილეობა

2. სწავლა და სწავლება

მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მშობლები და მოსწავლეები მონაწილეობენ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სწავლა-სწავლების სტრატეგიისა და გეგმების შემუშავებაში

სწავლა-სწავლების სფეროებია:

- კურიკულუმი;
- სწავლების მიდგომები;
- შეფასება

2.1 კურიკულუმი

2.1.1 სკოლის პროფილის, არჩევითი საგნებისა და სტანდარტ ზედა პროგრამების განსაზღვრა ხდება კლასის/სკოლის შეკრებებზე მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით;

2.1.2 მოსწავლეები დამოუკიდებლად აარსებენ კლუბებს.

2.2 სწავლების მიდგომები

2.2.1 სწავლა-სწავლების პროცესი ითვალისწინებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და თითოეული მოსწავლის განსაკუთრებულობას.

2.2.2 სწავლებისას მოსწავლეები ეცნობიან და იყენებენ კვლევის, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მეთოდებს.

2.2.3 სწავლა გულისხმობს ხშირ დისკუსიებს, დებატებს, ჯგუფურ მუშაობას.

2.3 კურიკულუმი

2.3.1 სკოლაში შეფასების კრიტერიუმები შემუშავებაში მონაწილეობენ მოსწავლეები, და მასწავლებლები,

2.3.2 სკოლაში არსებობს შეფასების აპელაციის შესაძლებლობა

2.3.3 შეფასების ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის.

3. გარემო

სკოლაში გარემო უსაფრთხო, ინკლუზიური და ტოლერანტულია. სკოლაში წახალისებულია თანამშრომლობა და თემთან ურთიერთობა.

გარემოს მიმართულების სფეროებია:

- ინკლუზიურობა და ტოლერანტულობა;
- უსაფრთხოება.

3.1 ინკლუზიურობა და ტოლერანტულობა

3.1.1 საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით;

3.1.2 სკოლის ინფრასტრუქტურა მორგებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებზე;

3.1.3 სკოლა იცავს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობებისა უფლებებს;

3.1.4 სკოლაში იმართება მულტიკულტურული ღონისძიებები.

3.2 უსაფრთხოება

3.2.1 სკოლაში მუშაობს თანატოლთა მედიაცია;

3.2.2 მასწავლებლები ფლობენ ეფექტური კომუნიკაციის ხერხებს

3.2.3 სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები ფლობენ და იყენებენ კონფლიქტების მოგვარების ხერხებს

3.2.4 სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება

3.2.5 სკოლაში დაცულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფორმაცია

3.2.6 სკოლაში დაცულია დისციპლინა, რომელიც ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემას.